



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/24

ა. თბილისი

21 მაისი 2018

ქონების იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 20 მარტის №31 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 21 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითი საბჭო ადგენას:

1. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად იჯარის უფლებით გაიცეს ქვემოთ მითითებული სტუ-ის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ქონება:


1.1. კოსტავას ქ. №67-ში მდებარე მე-2 სასწავლო კორპუსის (საკადასტრო კოდი №01.10.13.041.016) ანტრესოლის სართულზე არსებული 12 კვ.მ. ფართობი, ქსეროგრაფიული ცენტრისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიის მოწყობის მიზნით, 3 წლის ვადით;

1.2. კოსტავას ქ. №77-ში მდებარე (მე-3-4 სასწავლო კორპუსის მიმდებარედ) არსებული 1051 კვ.მ. ფართობი (საკადასტრო კოდი №01.10.13.023.133) სეზონური ღია კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, ერთი წლის ვადით.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გაბოკიძე